გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1892



ამიერ-კავკასიის საქიმიო ლაბორატორია

ტფილისში

მიღებული აქვს ვერცხლის დიდი მედალი კავკასიის გამოფენაზედ

აკეთებს ყოველსავე სახმარებელს, ჯანისათვის არა საზიანოს, **საკოსმეტიკო ნივთიერებას**, საუკეთესო ღირსებისას, და აგრეთვე **საჰიგიენო იარა-ჭრილობათა შესახვევს მასალას.**

**ხელობაძღა აქვს კეთება:**

ფიჭვის წყალისა, რომელიც ერთს წუთს სწმენდავს ჰაერს, ჰაერის მყავბადს ოზონს ჰმატებს და ბალზამის სუნს აძლევს.

პეპსინის ღვინისა a la Baudault (ისპანურის ღვინით), რომელიც ძალიან ჰშველის და ხელს უწყობს სტომაქის მუშაობას.

ო-დე-კოლონისა, საუკეთესო ღირსებისა.

მასტიკისა იატაკებისთვის.

მელნისა ანტრაცინისა და ალიზარინისა; ასლის გადასაღები მელანი არაფრით ჩამორჩება საზღვარ-გარეთისას, და

იოდაფორმით შეზავებული მარლისა.

უმთავრესი საწყობი იმყოფება: ფოსტის ქუჩაზედ, ფარმაციის მაგისტრის ვილარეტის აფთიაქში (წურინოვისებურ) და აგრეთვე უმაღლესად დამტკიცებულ კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ტფილისსა და ბაქოს. (50—48—21)



ქართველთა ამხანაგობის გამგეობა

ამით აუწყებს, რომ ამხანაგობის აგენტებად დაინიშნენ: დ. ცხინვალში ბ-ნი იასონ ხიმშიაშვილი და ქ. სიღნაღში ბ-ნი ივ. ქიტიევი. (3—2)



ხუთშაბათს, 4 თიბათვეს,

საღამოს 7 საათზედა დანიშნულია ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში ქართულის დრამატიულის საზოგადოების საგანგებო კრების

გაგრძელება

განსახილველად შემდეგის საგნებისა:

1) მომავალის წლის სავარაუდო ანგარიში და 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება (3—2)



გამოვიდა ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ და „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიებში:

**ქათამაგნი**

ბექა და აღბუღა

და

მათი სამართალი,

ნ. ურბნელისა.

ფასი ათი შაური (50 კაპ.) (6—6)



ქართველთა ამხანაგობის გამგეობა

ამით აუწყებს თავ. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა I ტომის მყიდველთ, რომ ამხანაგობამ უკვე მიიღო პეტერბურგში დაბეჭდილი ავტორის სურათი და, ვისაც უყიდნია ზემოხსენებული წიგნი, შეუძლიან სურათი წარმოადგინოს ახალზედ გამოსაცვლელად.

თავ. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მე-II ტომიც ამ დღეებში გამოვა გასასყიდად. (5—2)


## ახალი ამბავი

*** გუშინ ოფიციალური დეპეშა მოუვიდა ჩვენს ადმინისტრაციას ხოლერის შესახებ. ერთ ოფიციალურ დეპეშიდგანა სჩანს, რომ მეშედში ამ თთვის პირველს ხოლერისაგან მარტო 91 კაცი მომკვდარა, მაშინ როდესაც წარსულს ხუთშაბათს ამავე სენით 400 კაცი მომკვდარა. ამას გარდა ოფიციალურადვე ატყობინებენ ჩვენს ადმინისტრაციას, რომ ხოლერა სპარსეთიდგან იმიერ კასპიის მხარეს გადასულა. პირველად ხოლერა სამარყანდში აღმოჩნდა და შემდეგ—რამდენსამე საზღვარს ახლო ალაგებშიო. ამ სამის დღის წინათ ხოლერით უზუნ-ადაში სამი კაცი მომკვდარა, ხოლო შემდეგ სამის დღის განმავლობაში ჯერ არავინ არ გამხდარა ავად ხოლერით. მთავრობა ყოველსავე ღონის-ძიებას ხმარობს, რომ ეს საზარელი სენი ამიერ-კავკასიაში არ გადავიდეს. მთავრობას ამ სენის მოსასპობლად ჯერ-ჯერობით 100,000 მანეთი გადაუდვია. ჩვენს ტფილისის საქალაქო ქსენონში გუშინ დიდის ფაცი-ფუცით დაიწყეს მომზადება 20 საწოლისა, რომელიც ამ ოთხს დღეში იქნება მზად და ქსენონის ბაღში გამართავენ ალაჩუღებს ხოლერით ავადმყოფებისათვის, უკეთუ ეს სენი ჩვენც გვეწვია. ქალაქში ბევრს ლაპარაკობენ, რომ ბაქოში ხოლერა გაჩენილაო, მაგრამ ჯერ ეს ლაპარაკი ჭორია: კასპიის ზღვის ამიერ მხარეს ჯერ არავინ არ გამხდარა ხოლერით ავად. ამასთანავე ბაქოში სასტიკი კარანტინია დაწესებული და ეხლა იმიერ-კასპიის მხარედგან მომავალთაც ბაქოს ახლოს კარანტინს ქვეშ ამყოფებენ.

*** დღეს, 12 საათზედ, კავკასიის ქალთა ინსტიტუტში კენჭი ეყრებათ სახელმწიფო 5 ვაკანსიის კანდიდატებს. ამ ხუთს ვაკანსიაში სამი ქართველ ობოლ ქალებისთვისაა და ორი რუსებისთვის.

*** 2 ივნისს, საღამოს 7 საათზედ, საგუბერნიო მმართველობის დარბაზში საგანგებო კრება მოხდა საგუბერნიო სასანიტარო კომისიისა. საგანი კრებისა ის იყო, თუ რა ღონისძიება უნდა იხმაროს სასანიტარო კომისიამ, რომ ხოლერა არ გაჩნდეს. კრებაზედ მიწვეულნი იყვნენ კავკასიის ყველა უწყების წარმომადგენელნი.

*** ქალაქის საფინანსო კომისიაში ამას წინად გარდაცემულ იქმნა ხარჯთ-აღრიცხვა ქალაქის შემოსავალ გასავლისა ამა მდგომარე წლის განმავლობაში. გამგეობის მიერ წარგზავნილ შენიშვნებიდგან სჩანს, რომ წელს მოსალოდნელია შემოსავალი 765,657 მანეთი, ხარჯი-კი 784,573 მანეთი, ე. ი. ხარჯი აღემატება შემოსავალს 18,939 მანეთით, რომელიც შეადგენს ზარალს ამ წლისას, ანუ დეფიციტს. ყველაზედ მომეტებულს შემოსავალს ქალაქი ელის სახლთა დაფასების ხარჯიდგან, რომელიც აღრიცხულია 259,657 მანეთად. მეორე ადგილი უჭირავს ქალაქის მილის წყალის შემოსავალს, რომელიც აღირიცხება 165,396 მანეთად. შემოსავალის მუხლთა შორის პირველად არის წელს შეტანილი 3000 მანეთი, რომელიც უნდა გარდაიხადოს ბელგიელთა უსახელო საზოგადოებამ ვაგონების რაოდენობაზედ. პირობის ძალით, ათის წლის შემდეგ ხელ-შეკრულობისა, ამ საზოგადოებამ უნდა აძლიოს ქალაქს თითო სახალხო ვაგონზედ 25 მანეთი და სასაქონლო ვაგონზე 15 მანეთი წელიწადში 19 წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგ ამ ვადისა უნდა აძლიოს 40 მანეთი სახალხო ვაგონზე და 25 მანეთი სასაქონლოზე. ათი წელიწადი შეუსრულდა ხელშეკრულობას 11 აპრილს 1891 წლისას, და ამიტომაც წელს დანიშნულია ახალი შემოსავალი 3000 მანეთი. გასავლის ხარჯთ-აღრიცხვაში ჩვენა ვხედავთ, რომ ქალაქს სავალდებულო ხარჯი მოუვა წელს 521,097 მანეთი, არა-სავალდებულო 263,476 მანეთი. ამ სავალდებულო ხარჯის გაწევაში ტფილისი რუსეთის ყველა სხვა ქალაქებზედ დაჩაგრულია. სხვაგან იშვიათად აღემატება სავალდებულო ხარჯი ნახევარს წლის მთელის ხარჯისას, ჩვენში-კი თითქმის ორს მესამედს უდრის. მარტო პოლიცია და ცეცხლის მქრობი რაზმი წელს ითხოვს ხარჯს 107,958 მანეთს. ამას დაუმატეთ ჯარების სახლის ხარჯი, რომელიც შეადგენს თითქმის ხუთი-ათას თუმანს, საპყრობილეთა ხარჯი და სხვანი, ჰნახავთ, რამდენად ხელშეკრულია ქალაქის კასსა, რომ ჯეროვანად გაუძღვეს მოქალაქეთა საჭიროების დაკმაყოფილებასა და რიგიანი პატრონობა გაუწიოს ქალაქის ათას გვარს მოთხოვნილებას.

*** ამ დღეებში ამიერ კავკასიის რკინის გზით გაიგზავნა კასპიის იმიერ მხარეს ორი ვაგონი სადეზინფექციო წამლებითა და იარაღებით დატვირთული.

*** ამ უკანასკნელს დღეებში ტფილისში ძლიერ დაცხა. შუადღისას რეომიურის ტერმომეტრი ჩრდილში 26—28 გრადუსზე სდგას. კარგა ხანია, რომ ტფილისში ასე ადრე არ დამდგარა ზაფხულის სიცხეები.

*** სამშაბათს, 2 ივნისს, ამიერ კავკასიის რკინის გზით გაემგზავრა სასანიტარო კომისია, რომელიც ყველა სადგურში დაათვალიერებს, სახელოსნოებს, რკინის გზის საწყობებს, რკინის გზის მოხელეთა სადგურებს და სახალხო ვაგონებს. ამას გარდა, რკინის გზის მმართველმა მისწერა სადგურების უფროსებს, რომ რკინის გზაზედ მოსამსგურეთა სადგურები რაც შეიძლება სუფთად იყოს შენახულიო.

*** ბარის ოსეთი: აქეთკენ ჯეჯილებს მშვენიერი პირი უჩანს ჯერჯერობით. თუ ღმერთმა ცა და ღრუბელი დაუშვიდა, დიდს სოსავალს უნდა მოელოდენ ოსები წელს.

აპრილმა სულ წვიმით გაიარა და სიცივით; მაისიც წვიმიანი დაგვიდგა; დაჟინებული წვიმები ძლიერ ხელს უშლის ბარის ოსებს, სიმინდის ხვნათესვაში. თუ კიდევ დიდხანს გასტანა ასე წვიმებმა საშიშია, რომ უდროვოდ დათესილი სიმინდი თავის დროზედ ველარ შემოვიდეს და დასძრას. ხეხილმა დაიყვავილა და ძლიერ მშვენივრადაც ასხია.

*** იქიდამვე: ამას წინად სოფ. ყაყადურის გუთნის ღამის მეხრეები დარკოხის რკინის გზის სადგურთან ახლო აძოვებდნენ ხარებს და ცხენებს; რადგანაც იმ ღამეს ძლიერი წვიმა იყო და რკინის გზაზედ ქვიშის გამოისობით წვიმა უფრო არ ემჩნევა, მეხრეები მისულიყვნენ და რკინის გზაზედ მიწოლილიყვნენ; ერთს მეხრეს ზედ გზის ლიანდაგზე მიედო თავი, ცხენებიც ზოგნი ზედ შუაგულს გზაზედ შემდგარიყვნენ; ამ დროს თურმე საქონლის მატარებელმა წამოსწრო და საბრალო მეხრეს თავის ქალაზედ გადაუარა; ორი ცხენი სულ ლუკმა-ლუკმად დაჩქლითა და მესამეს ბარძაყი მიამტვრია. ერთის ხარისათვისაც ბარკალში გამოეკრა და სულ გაეფლითა. ასეთივე უბედურება ეწვიათ კობელ (დუშეთის მაზრა) მეცხვარეებს. საცოდავთ, საზამთროდ ცხვარი ჰყავნდათ სოფ. ბათაყოში. ახლა რაკი დადგა მაისი და ბალახით შეიმოსა მთა-ბარი, ბატკნიანი ცხვარი მიუდიოდათ შინ არხეინად. სოფ. ბესლანის თავში დაულამდათ და ღამე იქ დადგნენ. ალიონმა რომ აიწია მეცხვარეებმა აშალეს ცხვარი და გაუდგნენ გზას. უნდა გადაევლოთ რკინის გზაზედ; კავკავიდგან მოანათებს ამ დროს საქონლის მატარებელი. თურმე მეცხვარეებმა იფიქრეს, ჯერ შორს არის და გადავასწრობთო. ადგნენ და შეაყენეს გზაზედ ბატკნიანი ცხვარი; მატარებლის ლამპრების შუქმა რო მოანათა, ცხვარი შესდგა, სინათლეს დაუწყო ცქერა და აღარც იქით მხარეს გადავიდა და აღარც უკან დაბრუნდა. ზედ გზაზედ ერთად შექუჩდა, მეცხვარეები ბევრს ეცადნენ, მაგრამ მაინც ვერ დასძრეს ცხვარი. ასე ერთად შექუჩებულს ცხვარს დაეძგერა მატარებელი და სამოცი სული ცხვარი ბატკნებიანად გასრისა.

*** ახალ-ქალაქი: მაისის 27-ს ჩვენს ქალაქში მოხდა ერთი შემაძრწუნებელი ამბავი: ქალაქის გარედ, სადაც თიხას თხრიან და მღვიმე-მაღაროსავით არის გამოქვაბული, წასულა ცამეტ-თორმეტის წლის ბიჭი თავის დიდიდედით და წაუღია თან ურემი ქვიშისა, თუ თიხის წამოსაღებად. ბიჭი სოფელ მომწვარიდგან ყოფილიყო. შესულიყო მაღაროში და დაეწყო თხრა. ამ დროს ავდრებისაგან დაზიანებული ბანი მაღაროსი მოიმზღვრა და დაიტანა ქვეშ საცოდავი. მალე მიეშველნენ ქალაქიდგან ბარებით, ნიჩბებით და სხვა იარაღით. მოთხარეს ჩამოწოლილი მიწა და ორის საათის შემდეგ იპოვნეს საწყალი ბიჭი, რომელსაც შიშისაგან სახე დაღმექოდა და პირქვე ეგდო. ოროლი ექიმი იქ იყო. გასინჯეს ბავშვის სხეული, მაგრამ ბავშვი უკვე მომკვდარიყო; ან-კი რა აცოცხლებდა იმოდენა მიწის ქვეშ. ურიგო არ იქნება, რომ პოლიციამ იქ სიარული აღუკრძალოს და ან სხვანაირად მოაწყოს ის მღვიმე და იქ თიხის თხრის საქმე. ამ ნაირი მაგალითი ყოველ წელიწადს მოხდება ხოლმე. მაგ. შარშანაც ამავე ალაგას და იმავე მიზეზით დაუტანია მიწას ორი კაცი.

*** გორი: 3 ივნისს, ნაშუადღევის 2 საათსა და 45 წუთზე შემდეგი ამბავი მოხდა რკინის გზის 221 ვერსზე. საქონლის მატარებელი № 54 დაეჯახა ორს კამბეჩს, რის გამოც სამი ვაგონი ცისტერნი, ნავთით სავსე, გზიდან გადავარდა ორისავე მხრიდგან, ხოლო ოთხი ვაგონი ცისტერნი ერთიერთმანეთს შეახტა და-

ჯახების მიზეზით. ამ ამბის დროს, რაღაც შემთხვევით კაცთაგანი არავინ დაღუპულა, მხოლოდ ერთი კონდუქტორთაგანი, გვარად გარიგა, ალაყიდგან გადმოვარდა და მცირეოდნად დაშავდა წელში. ამ შემთხვევის გამო გზა შეიკრა და მატარებლების მიმოსვლა დროებით შეჩერდა. შეიტყეს თუ არა ეს ამბავი, მაშინვე გზის გაწმენდას შეუდგნენ, ხოლო სააგარო მატარებელი № 23 ერთი საათი და 55 წუთი გაჩერდა და შემდეგ მატარებელს № 3-თან ერთად წამოვიდა ტფილისისაკენ. დილის თერთმეტს საათსა და 55 წუთზე გზა უკვე გაიწმინდა და საქონლისა და სახალხო მატარებლებმა ჩვეულებრივი მიმოსვლა დაიწყო.

*** ამ დღეებში ხალხში ხმა დადიოდა, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზის ევლახის სადგურზედ ხოლერა გაჩნდაო. იმ წამსვე ევლახში რკინის გზის მკურნალები გაემგზავრნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის ავადმყოფობა, რომელიც ხოლერა ჰგონებიათ, ჰაობის ციებ-ცხელება ყოფილა („Кавк.“).

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა საერო განათლების სამინისტროში გაჰგზავნა მოხსენება, რომლითაც ამტკიცებს, ძლიერ საჭიროა, რომ დრო-გამოშვებით საერო სკოლების ინსპექტორები შეიკრიბნენ ხოლმე სასწავლებლების საქმეების განსახილველადაო.. („Нов. Врем.“).

*** გაზეთს «მშაკს» სწერენ კარაკლისიდგან, რომ 25 მაისს კარაკლისის მახლობლად ერთს გუმბრიდგან მოსულს ინჟენერს შავის ქვის მადანი აღმოუჩენია. ინჟენერი ამბობს, რომ კარაკლისის მადნის შავი ქვა ტყიბულის შავს ქვას გაცილებით სჯობიაო.

*** 2 ივნისს, ნაშუადღევის 3 საათზე, პოლიციის მეშვიდე ნაწილში, ახალს სამების ქუჩაზე, თავს ცეცხლი გაუჩნდა იქიდამ ცეცხლი გადასწვდა რკინის გზის ფარდულსა და ერთად დაწყობილს ლიანდაგის ხეებს. ცეცხლი ორთქლმავალით ჩააქრეს.

*** ამავე დღეს რკინის გზის საკანტროლო უწყებაში მოსამსახურემ ვლადიმერ მასკალენკომ რევოლვერი დაიცა მარცხენა გვერდში. მასკალენკო სამკურნალოში გაჰგზავნეს საქმიოდ.

*** 3 ივნისს ბაგრატიონის ქუჩაზე, ბაქრაძის სახლში, ტფილისის მცხოვრებელმა ქვრივმა მარიამ სიფაროვისამ თავის მოკვლა განიზრახა და წყალში გახსნილი წუმწუმა დალია. ქალი სამკურნალოში გაჰგზავნეს საქმიოდ და მორჩენის იმედიცა აქვთ.

## მთავრობის განკარგულებანი

ტფილისის 1 განყოფილების მომრიგებელ სამართლის მდივნის თანაშემწე ვასილ კახიანი, თავისის თხოვნით დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან და მისს თანამდებობაზედ დანიშნულ იქმნა სოლომონ სარაჯიშვილი.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სამიქაო** (ქუთაისის მაზრა). სამიქაოს საზოგადოება ეკუთვნის ქუთაისის მაზრას და მდებარეობს მდ. ცხენის წყლის მარცხენა ნაპირად სამეგრელოს საზღვარზედ. ეს საზოგადოება დიდად დაზარალებულ დაქვეითებულია, როგორც ნივთიერად და ხორციელად, ისე სულიერად: ხორციელად დაქვეითება მისი ის არის, რომ ერთის მხრით მდინარე ცხენისწყლისაგან და მეორე მხრით პატივცემულ მეზობელთ საჰყონდიდელთაგან ძვალზედ რბილი აღარ შერჩენია. მდინარე ცხენისწყალი, რამდენად სასარგებლოა ხსენებულ საზოგადოებისათვის, ოლცი იმოდენად დამაზიანებელია, რადგან დღე-მუდამ ძვირფასს სამოსახლოებს და სანაქებო სახნავს მიწებს ალის, რის გამოც ერი ნიადაგ არეულ-ამბოხებულია სხვა სამოსახლოებისა და სამუშაო ადგილების ძებნით. რასაც ცხენისწყალი დააკლებს გონება-არეულ საზოგადოებას, იმას ბ-ნი საჰყონდიდლოელები უსრულებენ და შავს დღეს აყენებენ. დაუდგებათ თუ არა რომელსამე სოფელში საეკკლესიო დღესასწაული, მაშასადამე, დრო მტერ-მოყვარეთა მოლოდინისა და დროს ტარებისა, შეესევიან სამიქაოს საზოგადოების იმ სოფლის მკვიდრნი და ისე უტიფრად არბევენ, რომ ლეკ-ოსმალთაც-კი აჰარბებენ: ვის ცხვარ-თხას მოსტაცებენ, ვის ხარ-ფურსა და ვის კიდევ—ცხენებს. სამიქაოლებმა იტირონ, თორემ საჰყონდიდლოელები მხიარულად ჩაატარებენ ხოლმე დღესასწაულებს, რადგან სხვის ხარჯზედ, სწორედ მოგახსენოთ, უხვი და მარილიანი მასპინძლობა იციან იმ დალოცვილის შვილებმა... წრევანდელისთანა ხშირი ქურდობა მათი, სწორედ, არავის ახსოვს: სულს ქვეშ რომ სთქვას კაცმა, მათს წრევანდელს აგრე რიგად განმძვინვარებას პატივსადები მიზეზიც აქვს, როგორც გვესმის: ბანძაში (სამეგრელოს ნაწილია, რომლის რამდენისამე საზოგადოებისაგან შესდგება), სადაც წინაპართა სიტყვით, ანდრია მოციქულიც-კი არ დაინდეს, ქალამნები მოჰპარეს და განრისხებულმა პირველ-წოდებულმა საუკუნოდ შეაჩვენა იგინი და უკუიქცა მათგან, დღესაც დიდ „მოდაშია“ ეს სამარცხვინო ხელობა და ბევრს იქაურს დღესაც ისე მოსწონს და მოაქვს მით თავი, როგორც კეთილს კაცს საქველ-მოქმედო საქმეთა ჩადენით.

სულიერი გათახსირება და მიწასთან გასწორება სამიქაოს საზოგადოებისა ის არის, რომ ახლანდელს დროში სხვაგან ბრმათა და ყრუთათვისაც აურაცხელი სასწავლებლები და გონების განსავითარებელი დაწესებულებანია; ეს კიდევ არაფერი, პირუტყვთაც-კი არა სტოვებენ გაუწვრთნელს, რომ დროსადა გვარად ისინიც-კი დააწინაურონ; სამიქაოს საზოგადოებაში-კი, სადაც ცხრაასამდე კომლი სცხოვრობს და ყმაწვილები ჭინჭველასავით ირევიან, პირმეტყველნი მუნჯდებიან, თვალ-ხილულნი ბრმავდებიან და უნებურად მახინჯდებიან: ამოდენა ბრბოს ერთი საზოგადო სასწავლებელი არა აქვს, არა თუ ორ-კლასიანი, არამედ ერთ-კლასიანიც-კი, რომელშიაც უვიცი და უმეცარი ახალგაზდობა ცოტაოდნად თვალს აიხელდა და გაჭირვეულებულს ცხოვრებაში შეღავათი მიეცემოდა... მართალია, აქა-იქ სოფლებში შეხვდებით სამიკიტნოებს შუა ჩაჩხირულს სენაკებს, რომელიც სულიერს სინათლესთან გზის სინათლესაც მოკლებულნი არიან, მაგრამ ამისთანა სენაკებში, ანუ ადამიანთა ჭკუა-გონების ჰახრაკებში, ბავშვებს, რომელნიც უნებურად ჩაცვივნულან მედავითნეთა ხელში, არა მარტო თავში ტვინი ულაყდებათ, გულში სპეტაკი გრძნობა უქრებათ და ხასიათი ერყვნებათ, არამედ თვალთა სინათლეც ელევათ და ხდებიან ნამდვილ საპყრებად...

ნუ ვინ იფიქრებს, რომ იმოდენა საზოგადოებაში, როგორ სამიქაო არის, სწავლისა და ხეირიან სკოლის ქონების სურვილი არ ტრიალებდეს; პირ-იქით, ხალხს ძალიანაც უნდა კარგი სკოლა და მიბარება იქ თავის შვილებისა. ეს მტკიცდება იმ სამაგალითო გარემოებით, რომ ზემოდ აღწერილს სენაკებში დღე მუდამ აურებელი ბავშვების რიცხვი დადის, სკოლის კარებს თავის მტვრევით აწყდებიან და, თუმცა-ღა დიაკვნების სიხარბისა გამო მოწაფენი სივიწროის მიზეზით ერთი მეორეს ასხდებიან თავზედ, ნახევარი მაინც გარედ რჩება თავშეუფარებელი.

გი—გი ბ—ერია

## რუსეთი

დიდი ხანია რუსეთის მწერლობა და სამეურნეო საზოგადოებანი ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ რიგიანი ყურადღება ექმნეს მიქცეული გაზაფხულობით მუშების საშოვარზე წასვლის საქმეს. დადგა გაზაფხული, დაიწყო მუშამ დენა სამხრეთისა და აღმოსავლეთისკენ და მწერლობამაც კვლავ ჩამოაგდო ამ საგანზე ბაასი. საბუთად ამ საგნის დაუყოვნებლივ განკარგებისა მწერლობას მრავალი რამ აქვს: გაჭირვებული მდგომარეობა მუშა გლეხთა, მამულის პატრონთა და იმ ადგილის მცხოვრებთა, სადაც მხოლოდ საშოვარზე სიარულით გამოდიან, ჯან-საღობა ხალხისა, წესრიგი სოფლის ცხოვრებისა და სხვა. ამ საქმის გარდასაწყვეტად მრავალნაირი პროექტი იქმნა შედგენილი. დასახმარებლად მეურნეობისა და სოფლის მცხოვრებთა, რომელიც საშოვარს ეძებს, უწოდებენ ტელეგრაფს, რკინის გზებს, ერობას, პოლიციას, საგლეხო გამგეობასა და თვით მამულის პატრონებსაც. ამის შემწეობით უნდოდათ ისე გაენაწილებინათ მუშათა რიცხვი ადგილ-ადგილ, რომ არც უსაშოვროდ დარჩენილიყვნენ მუშები და არც მამულის პატრონთ დაჰკლებოდათ მუშა ხელი. მაგრამ ყოველმა ცდამ და პროექტმა ამაოდ ჩაიარა, ნაყოფი ვერა მოიტანარა და აი რატომ: მეტის-მეტად ძნელია სოფელს ალაგას გაუნათლებელ გლეხთათვის ნამდვილის ამბის შეტყობა იმის შესახებ, თუ სად რამდენი მუშაა საჭირო, და ამაზედ ხომ უფრო ძნელია მუშების დანაწილება ადგილ-ადგილ საჭიროების დაგვარად. სოფლის მეურნეები მხოლოდ სამუშაოს დაწყების რამდენისამე დღის წინად ივარაუდებენ ხოლმე ამდენი და ამდენი მუშა გვინდაო. აშკარაა, რომ ყოვლად შეუძლებელი გახდა ხსენებულ საქმის განკარგება. ამ მიზეზთა გამო მუშათა მოძრაობა თანდათან ძლიერდებოდა და დიდი ზიანი მოჰქონდა სასოფლო მეურნეობისათვის. ბოლოს, რაკი პროექტებითა და სხვა ღონისძიებით ვეღარ განაკარგეს ეს საქმე, ამ მოძრაობის აღკრძალვის შესახებ-ღა დაიწყეს ლაპარაკი.

შარშანდელმა სიმშილმაც თავისი გავლენა იქონია მუშათა მოძრაობაზე. ამ ჟამად გაზეთები იწერებიან, აუარებელი მუშა მიიწევს სამხრეთის გუბერნიებშიო. საშოვარზედ მიდიან ისინიც, ვინც დაჩვეულნი არიან ამას, და ისინიც, ვისაც წინად არ უვლია, რადგან გაჭირვება აიძულებს. ამის გამო ალაგ-ალაგ მრავალმა მუშამ მოიყარა თავი და დღიურმა ფასმა მუშისამ ძლიერ დაიწია. ამას გარდა, აღმოჩნდა, რომ მრავალს ადგილას უსასყიდლოდ მუშაობენ გლეხები იმ ვალში, რომელიც ზამთრის განმავლობაში დასდებიათ მამულის პატრონებისა. ერთის სიტყვით, თითქმის ყოველ ადგილიდან სულ დიდს გაჭირვებას იწერებიან მუშა ხალხისას. რამდენისამე გუბერნიის მთავრობამ შუამდგომლობა დაიწყო უმაღლეს მთავრობის წინაშე—როგორმე მოსპეთ მუშათა დენა ჩვენს მხარეში, თორემ აქ უფრო მეტს გაჭირვებაში არიან მოსული გლეხები, ვიდრე თავიანთს სამშობლოშიო.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და დაავალა გუბერნატორებს შეიკავეთ და ნუ გაუშვებთ კავკასიაში მიმავალს ხალხსაო. ამავე დროს კავკასიის მთავრობამაც მიიღო მოწერილობა შინაგან საქმეთა სამინისტროსი—მოსული რუსი გლეხები ეტაპით გაგზავნეთ თავ-თავიანთს სამშობლოშიო.

მაგრამ არა გვგონია, რომ ამ ღონისძიებამ საქმე გაასწოროს. დააბრუნებენ კავკასიიდგან გლეხებს რუსეთში, მაგრამ ვითომ რა გამოვა აქედგან? გაჭირვებისაგან ილაჯ-გაწყვეტილი გლეხები ახლა სხვა მხარეს გასწევენ. მუშათა მოძრაობა მხოლოდ მაშინ მოისპობა, როცა ამ მოძრაობის მთავარი მიზეზი მოსპობილ იქმნება. შეუძლებლობისა გამო იფანტება აქეთ-იქით ხალხი და მათი სამშობლოში დამკვიდრება მარტო ეკონომიურს კეთილდღეობას შეუძლიან. აი სწორედ ეს უკანასკნელი ღონისძიებაა უკეთესი იარაღი ხალხის წოწიალის მოსასპობად.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** როდესაც საფრანგეთის პრეზიდენტი კარნო ნანსის დღესასწაულზედ წავიდა, ქალაქ ბირ-ლე-დიუკში ვერდენის ეპისკოპოსმა თავისი სამღვდელოება წარუდგინა და შემდეგი სიტყვა უთხრა: „ბატონო პრეზიდენტო, ნება გვიბოძეთ, გულითადი პატივის ცემა განგიცხადოთ ჩემისა და ჩემის ეპარქიის სამღვდელოების მხრივ.

მიუხედავად დღევანდელის დღესასწაულისა, მე გამოვეჩქარე ჩემის საეპარქიო ქალაქიდგან, რომ აქ მოგესალმებოდით და განმეცხადებინა თქვენთვის ის გრძნობანი, რომელიც ჩვენ გვასულდგმულებს. ჩვენ ყველანი, ბატონო პრეზიდენტო, ჭეშმარიტი ფრანგები ვართ და გულით გვიყვარს საფრანგეთი. პატივს გცემთ, როგორც ჩვენ პირველს მოქალაქეს; თქვენ მონიჭებული გაქვთ მთავარი უფლება, რომელსაც ყველა ვალდებულია ემორჩილებოდეს. ჩვენ ყველანი გულწრფელად კანონიერად ვსახავთ საფრანგეთის მიერ არჩეულს სახეს მმართველობისას, რომელსაც ეხლა თქვენ ჰმეთაურობთ. გთხოვთ, მერწმუნოთ, რომ გულ-წრფელად მოგახსენებთ ამ სიტყვებს. მე მგონია, რომ პირველში ჩვენი აზრი კარგად ვერ გაიგეს და ამის გამო რამდენჯერმე უთანხმოება და უსიამოვნება მოხდა. ძლიერა ვწუხვარ ამისა გამო: ვისურვებ წმინდის გულით, რომ ყოველივე ეს უთანხმოება მოსპობილ იქმნას და მის სამაგიეროდ დამყარდეს მშვიდობიანობა და ერთობა.

მთავრობა უძლეველია, თუ-კი იმედი ექნება თავის ქვეყნის ყოველის ცოცხალის ძალისა. მე მგონია, რომ პირველი ადგილი ამ ძალთა შორის უჭირავს ცოცხალს ძალას კატოლიციზმისას. მიიღეთ იგი ძალა, ბატონო პრეზიდენტო. გამხნევებული მამულის სიყვარულითა და სარწმუნოებით ვბედავ და გულ-წრფელად მოგახსენებთ: სცადეთ, ცოტაოდნად შეგვიყვარეთ, ნდობით მოგვეკიდეთ, დაიცეთ ჩვენი უსაჭიროესი უფლებანი და დაგარწმუნებთ, რომ ჩვენც სულითა და გულით შეგიყვარებთ და შემოგწირავთ ყოველსავე ჩვენს ძალას საკეთილდღეოდ და განსადიდებლად საფრანგეთისა.

ჩვენ გრძნობათა განცხადებას აქ, ლოტრინგიის მიწა-წყალზე, უფრო დიდის მამულის მოყვარეობის ფერი ედება. აქ, საფრანგეთის საზღვარზედ, სამშობლო გვავალებს დაცვას ამ საზღვრისას და ეს დავალება უფრორე აძლიერებს ჩვენს სიყვარულს მამულისას.

ბატონო პრეზიდენტო, ჩვენც ისევე ვართ მოწადინებულნი მშვიდობიანობას, როგორც მთელი საფრანგეთი და თითონ თქვენ, მაგრამ ამასთანავე არც ომისა გვეშინიან. მე, ეპისკოპოსი ვერდენისა, სიამაყით ვამბობ, ვცხოვრობ რა გვერდის-გვერდ ჩვენს მედგარს ჯარის-კაცებთან, მეც ჯარის-კაცი შევიქმენ. თუ როდისმე დაგვიდგა დღე განსაცდელისა, ეპისკოპოსი და მღვდლებიც ჯარის რაზმში შევერევით და მეტოქეობას გავუწევთ ჯარის-კაცებს მხეობითა და ვაჟკაცობით. დასასრულ ომისა, გამარჯვების შემდეგ, თქვენ, ჩვენო მეთაურო, ასე გვეტყვით: „ეპისკოპოსო, მღვდელნო და ჯარის-კაცნო, გმადლობთ“-ო.

კვლავ გიცხადებთ, ბატონო პრეზიდენტო, ჩვენს პატივისცემას თქვენდამი, მამულის მოყვარეობას და ერთ-გულებას“.

რესპუბლიკის პრეზიდენტმა ამაზედ შემდეგი უპასუხა ეპისკოპოსს: „გმადლობთ მაგ გულ-წრფელად ნათქვამ სიტყვებისთვის, რომელიც დიდის მამულის-მოყვარეობით არის გამსჭვალული. დარწმუნებული ვარ, რომ სამღვდელოებასაც იგივე მამულის მოყვარეობა უღვივის გულში. თქვენც განაცხადეთ სურვილი და ჩვენცა გვსურს გაერთიანება ფრანგთა რესპუბლიკის ფრთეთა ქვეშე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წვრილი ამბავი

კოლუმბის იუბილეის დღესასწაულის გამო მადრიდში გამართული იქნება მხატვრობის გამოფენა და რამდენსამე დარბაზში გამოფენილი იქნება ისპანიის XIX საუკუნის მხატვრობის ნაწარმოები.

— მელბურნიდგან (ავსტრალია) დეპეშით იწერებიან, რომ აქაურმა მთავრობამ 11-ს (23) მაისს, დილის 10 საათზედ, ჩამოახრჩო ავაზაკი დიმინგი (ყაჩაღი, ქალების მკვლელი).

— ავსტრიაში პრიბრამის ვერცხლის მადნებში საშინელი უბედურობა მოხდა. მადნებში მიწა ჩაწვა და 332 კაცი ქვეშ მოიყოლა. ავსტრიის დეპუტატთა პალატამ გადასწყვიტა, ფული შეაგროვოს დაღუპულთა ცოლ-შვილისა და ნათესავთა სასარგებლოდ.

— ნიუიორკის გაზეთები იწერებიან, რომ მისისიპის ხეობაში წყალ-დიდობამ 11 მილიონ დოლარზედ მეტი ზარალი მისცა ადგილობრივს მცხოვრებლებს. 8,000 კაცი სულ უსახლ-კაროდ დარჩა. სენ-ლუიში 15,000 კაცზედ მეტი უსაქმოდ და ულუკმა-პუროდ არის დარჩენილი.

— პროფესორს ბიუხნერს თავის ახალს წიგნში მოჰყავს რამდენიმე მაგალითი, თუ რამდენ წლამდე შეიძლება ქალს შერჩეს სილამაზე. მთელს ქვეყანაზე ყველაზედ ლამაზი ქალი პეტრარკას თანამედროვე პაულა დე ვიგერი ყოფილა. ეს ქალი 80 წლამდე ისეთი მშვენიერი და ლამაზი ყოფილა რომ, როცა ქუჩაში გამოვიდოდა, ხალხი ათასობით გროვდებოდა და შესცქეროდა მის სილამაზეს. ამის გამო ხშირად ქუჩებში არეულობა ხდებოდა ხოლმე და ტულუზის სენატმა აუკრძალა პაულას ქუჩაში უპირბადოდ გამოსვლა. ამ განკარგულებამ ტულუზის მცხოვრებნი ააჯანყა თურმე და სენატი იძულებული შეიქნა განკარგულება გაეცა, რომ პაულიასა კვირაში ორჯერ უპირბადოდ ფანჯრიდგან დანახვებოდა ხალხსა. ბიუხნერს უფრო საკვირველი მაგალითები მოჰყავს. მარკიზა მირაბო 86 წლისა ჯერ კიდევ ძლიერ ლამაზი ყოფილა. მონაზონს მარგარიტა ვერდურს, როცა 65 წლისა შეიქნა, თვალის სინათლე დაუბრუნდა, კბილები და მშვენიერი თმა ამოუვიდა და ძლიერ გალამაზდა. ამას შემდეგ მარგარიტამ კიდევ 10 წელიწადი იცოცხლა და ისე ლამაზი იყო, რომ ახალგაზდა გასათხოვარს ქალსა ჰგავდაო.

## წერილი რედაქციის მიმართ

პასუხად „ნახტომი შეჰშლიას“ ავტორს

ჩემო ძველო მეგობარო! იმ საგნის გამო, რომელსაც თქვენ შეეხებით თქვენს წერილში, აი მეორედ ვიკიცხები „ივერიაში“. პირველად არც მაგრე რიგად საჭიროდ დავინახე პასუხის გაცემა, რადგანაც სხვათა შორის ბევრი კარგიც იყო ნათქვამი, ცოტად თუ ბევრად იხსნებოდა საინტერესო საგანი, მაგრამ თქვენი წერილი-კი სრულიად შეუსაბამოა და უბრალოდ ჩემი დამამცირებელი, ამისათვის იძულებული ვარ განვმარტო მაშინდელი ჩემი სიტყვა, რომელმაც გამოიწვია „ივერიაში“ ეს სჯა. მაზრის უფროსმა ბ-ნმა ჯანდიერმა წინადადება მისცა ხალხსა გაეშენებინათ საზოგადო ზვარი და აუხსნა მის მნიშვნელობა საკმაოდ რიგიანად. ხალხი სიჩუმით დახვდა ამ უცხო საგანს და შეჰხედა ისე, როგორც სახელმწიფო გარდასახადის მომატებას. იქნება უარიც ეთქო, რომ ბ-ნი ჯანდიერი არა ყოფილიყო, რომელსაც ჯერ ნდობა აქვს ხალხში დამსახურებული და გარდა ამისა ამ გვარს შემთხვევაში ცდილობს სიტყვა გაიყვანოს უფროსულის ბრძანებლობით-კი არა, არამედ რჩევით, დარწმუნებით; მაგრამ ხალხი მაინც არ აღტაცებულა და ამან მაშინვე დაანახვა გარეშე მაყურებლებს რა ნიადაგიცა ჰქონდა ამ საქმეს იმ ხალხში და ან რა ბოლოც ექმნება მათ სინაზარას დარჩენილს. ეს ყმაწვილობიდგანვე ჩემთვის საინტერესო საგანი, მე უყურადღებოდ ვერ გავუშვი, მოვითხოვე სიტყვა და გამოვსთქვი, რომ პრინციპით, იდეით, ეს საქმე ჩინებულია როგორც სკოლა, რომ გლეხი თავისის ხელით შემუშავებაში ძალაუნებურად ისწავლის ხელოვნურს მუშაობას და ნაყოფად ესეც საკმარისია სხვა რომ არა იყოს-რა, მაგრამ ამ საქმის ქონებრივმა მხარემ, როგორც საზოგადო თანხის წყარომ, მისმა დაყენებამ, დამიბადა სხვა-და-სხვა კითხვები საინტერესონი ჩემთვისაც და საზოგადოებისათვისაც, მაგრამ მაშინაც უპასუხოდ დამრჩა და ახლაც სიამოვნებით განვიმეორებ პასუხის მომლოდინე; საზოგადოებისთვისაც მეთქი ვამბობ იმისთვის, რომ მაზრის უფროსთან თან მომყვა გიორგი წმინდის საზოგადოება, რომელმაც ჩემის რჩევით უარი-კი არ უთხრა წინადადებაზედ, მაგრამ ზემოხსენებულ კითხვების დაყენების ვექილობა-კი დამაკისრეს. რადგანაც მოთავედ მთავრობის წარმომადგენელსა ვხედავდი, მე პირველად ის ვიკითხე: „ვისია ეს დაწყობა და ვის ხელში იქნება მისი წარმოება-მეთქი“. სრულიადაც არა სჩანს თქვენგან წაკითხულის კორრესპონდენციიდგან, რომ მე მდომებოდეს ურიადნიკების ხმლების კანკური და მათი ზედამხედველობა,— პირ-იქით იმის შიშით დამებადა ეს კითხვა. ამას შემდეგ ვილაპარაკე იმაზედ, რომ გლეხკაცობა თავის-თავად ვერ აწარმოებს ამ საქმეს და უნდა რიგიანი კანტროლი, რომ უამისოდ ადვილად შესაძლებია, რომ დაეკარგოს ხოლმე სოფელს მისი შემოსავალი, რომ იგი საწარმოებლად უფრო რთულია და საფათერაკო, ვიდრე ბანკი და დეპო, რომლებიც დაგვეღუპა. საზოგადო ზვარს წელიწადი თორმეტი თვეე ყოველ დღე თითქმის ან შემოსავალი ექნება ან გასავალი; ყოველ დღე წვრილ-წვრილად მოუნდება ან მუშა, ან იარაღი, ან მასალა შესამუშავებლად. აგრეთვე შემოსავალიც: ყოველ დღე ზაფხულში ან ხილი ისყიდება, ან ბოსტნეული და ბოლოს ღვინოც. ყველა ამას იმდენი ფათერაკი სდევს, რომ ადვილად შეიძლება მწარმოებელმა გასავალი რამდენჯერმე მეტი უჩვენოს, შემოსავალი ნაკლები და ბოლოს იქნება კიდეც ვაყრიდეთ. ბანკსა და დეპოში საქმეს აწარმოებდა და ამხანაგობაშიაც მეტს ძალას შეადგენდნენ ადგილობრივი მასწავლებლები, აზნაურები და მღვდლები და საქმეც ბევრად მარტივი იყო საწარმოებლად და აქ-კი, უფრო რთულს საქმეში, იქნება მარტო გლეხ-კაცობა, რომელიც სიჩუმით დაჰხვდა „სახელმწიფო ზვრის გაშენებას“, როგორც თითონ იტყვიან ხოლმე, და არც შეუძლიან იმას მუდამ მოუცლელს და ანგარიშის უცოდნელს კბილების ჩხრეკვა საქმის მაწარმოებლისა. კონტროლი უნდა აგრეთვე იმ აგრონომსაც, რომელიც უხელმძღვანელებს ზვრის გაშენების საქმეს. დიდი ხანია დავრწმუნდი, რომ არა ამ გვარს საქმეში ზედ მივარდნა, გატაცება არ ვარგა, რომ ევროპიული კულტურა და ნამეტნავად სამეურნეო გადმოტანაში სიფთხილეს თხოულობს, რომ იქაურად ხვნა, თესვა, რგვა და იქაურის იარაღის ხმარება აქ პირდაპირ არ გამოდგება; ყველაფერს შესწორება, შერჩევა უნდა, დიაღ, აგრონომსაც კონტროლი უნდა, რომ გლეხებისავე სასაცილო არ გახდეს. იმ დროს, როდესაც ჯანდიერმა ილაპარაკა ამ საგანზედ საგარეჯოში, მათთვისაც მგონია ამ მხრივ განუმარტავი იყო ეს საქმე და მას შემდეგ-კი, როგორც გავიგე, ბ. ტფილისის გუბერნატორის მზრუნველობით რამდენსამე სხდომაზედ შეამუშავებიათ ეს საგანი საუკეთესო ჩვენებურ კაცთა და გულ-შემატკივართ; ვნახოთ რას მოუტანს ამ საქმეს მათი დახმარება.

ჩვენს დროში საზოგადოდ ინდივიდუალიზმი ისე არის გაძლიერებული, რომ საზოგადო საქმეებს ამ მხრივ დიდი ფათერაკი სდევს. ამისათვის რუსეთში კოოპერატიულს საქმეებს თანდ-თან ფრთა ეკვეცება, არაფერი გამოდის, თუმცა მთავრობამ დიდი დახმარება და მზრუნველობა გაუწია. წავიდა უკან და უკან და დღეს სახსენებელიც აღარ არის. განა ესეთი დღე არ დაადგა გამსესხებელს შემნახველს ამხანაგობებს რუსეთში, რომელიც დღეს თითქმის გაბათილებულია? განა იგივე დღე არ დადგა ჩვენებურს გამსესხებელ-შემნახველს ამხანაგობებს და დეპოებს? მხოლოდ დიდად თვალ-საჩინოა ამ შემთხვევაში აბრამოვისაგან აღწერილი გერმანელების საზოგადო საქმეები, რომლებიც ტრადიციითვე უკეთ იყვნენ მომზადებულნი საამისოდ. უტოპისტები, კოოპერატიული საქმეები, ძლიერ სდევნიდნენ შენ—ჩემობას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კაცს ჩვენს დროში ძვალსა და რბილში ჰქონია ეს გამჯდარი და იქიდგან აქამომდე მუდამ ესა ჰღუპავს საქმეს. ჩვენის საზოგადო ზვრების საქმეში 99 წილი ყოველის წევრის ენერგიისა მიმართული იქნება „ჩემისკენ“ და იქნება ერთიც არ იყოს საზოგადოებისენ. რად გიკვირს აქ ჩემი შიში, რომ 99-მა არ გადასძლიოს ერთსა-მეთქი? უტოპისტების შემდეგ დღემდე მოსული კოოპერატიული საქმეები, მათი ისტორია და უტყუარი ფაქტები რას ამბობენ და რა ნაირს შესწორებას თხოულობს დღეს საქმე, უნდა იცოდეს დღეს მოთავემ, თუ თვალები უხელია. მისთვის ეძახიან უკანა კაცს წინა კაცის ხიდს, წარსულს მომავალის მასწავლებელს. ხშირადა ხდება ხოლმე ჩვენში რომ, როდესაც ამისთანა საქმეზედ ვინმე ლაპარაკს დაიწყებს, აღარ აცქერდება მის სუსტს მხარეებს განზრახვის სიყვარულით, კრიტიკს მგმობელს ეძახის და გატაცებული გაიძახის: „დროა გამოვიღვიძოთ, წინ წავიდეთ, გვეყო ბავშვობაო“. ასეთის სიტყვებით ჩაგრია ხსენებულს საგანზედ საუბარში ბ-ნი ბაქრაძეც, რომელიც ასე მოსწონებია „ივერიის“ მოწინავე წერილის ავტორს, მაგრამ მე-კი ვიტყვი, რომ დიაღაც დროა გამოვიღვიძოთ და გავიგოთ, რომ ამ გვარის ფრაზებით შექამანდი არ შენელდება. არა ყოფილა ისეთი დრო ადამს აქეთ, რომ კაცს გამოღვიძება და წინ წასვლა არა სდომებოდეს, საქმე საქმის დაყენებაა. სახსრების მონახვა და მართვაა, სწორედ ამისთანეებს შეემთხვევათ ხოლმე ნახტომის შეშლა და არა იმათ, რომლებიც „ათჯერ გაზომავენ და ერთხელ მოსჭრიან“, რომლებიც „ჯერ სახტომს ჰნახავენ და მერე სანეკრეს“. ბ-ნმა ჯანდიერმა მაგალითად მოუყვანა ხალხს სასოფლო ამბრების საქმე და სთქვა, რომ იგი კარგი სახსარია სასოფლო თანხის გასაჩენად. მართალია, მაგრამ რა დაგვანახვა ამ საქმის წარსულმა? უკონტროლო ხომ არ იყო, მაგრამ მინამ ცუდი კონტროლი ჰქონდა და აკი ათიდგან ერთის მეტი არ დაგვრჩა. ეხლა ჰპატრონობენ და საქმეც რიგიანად მიდის, რომ არ ჰქონოდა კონტროლი, სულაც შესჭამდნენ ამ „სახელმწიფო“ ამბრების პურს. რა ვუყოთ, რომ ბანკი და დეპო წაგიხდათო, კიდევ უნდა სცადოთო, ეს სილაჩრეაო, ამბობს „ივერიის“ მოწინავე წერილის ავტორი: „მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტნიაო“ კეთილი, მაგრამ ერთსა და იმავე გზაზედ ორ-ორი ურემი გადაგვიბრუნდა და წინ გვიწყვია, სატირლად და თავში საცემად გაგვხდომია, მოდი და მონახე იმასთან გიჟი მეურმე, რომ ამ გზას ფათერაკი გაუგოს და ურემი-და გაატაროს იქ. მართალია „მგლის შიშით არავის გაუწყვეტნია ცხვარი“, „ყველაფერი მსხვერპლსა თხოულობს; არც კაცს ცურვა უსწავლია, მინამ ბევრი არ დაირჩობოდა“, მაგრამ მგელს მაინც ვარიდებთ ცხვარს და მეცხვარეს მხრები აქვს დაწყვეტილი კომბლისა და თოფის თრევითა, არც განზრახ მსხვერპლს მივცემთ, ვერც შეიყვან ცურვის მოსწავლეს იმისთანა წყალში, სადაც ერთი და ორი იმისთანა დამრჩვალა. ნუ დავივიწყებთ, რომ ამ გვარს საქმეში უნდა ვიხელმძღვანელოთ აღზრდის წესებით, ადვილიდგან ძნელზედ გადასვლით. რამდენი სხვა დედა დედა-აზრით ჩინებული საქმე დღესაც ჰიანჰუანობს და ჰირადაც-კი გაგვხდომია სულ იმისათვის, რომ ან უხერხოდ, ან უადგილოდ ან უპატრონოდ არის. მწვავედ ვგრძნობთ დღესაც საგარეჯოში დეპოს დაკარგვას და მის საჭიროებას და ვინ იცის რამდენჯერ გაგვიახლებია კითხვა მის განსახორციელებლად, ჯანდაბას ოთხი-ხუთი თუმანიც სულაც შევწიროთო, თვითეულმაო, მაგრამ ვერ ვარწმუნებთ ხალხს, რომ იმ გზაზედ ურემი აღარ გადაუბრუნდეს და შემწირველნი ცოტანი გამოდიან. საქმე დაიწყეთო და გზას თითონ გიჩვენებთო, ამბობენ ზოგნი ამისთანა შემთხვევაში. განა ეს სისულელე არ არის? შეიძლება წვრილმანები მერმისის ინაბარს დარჩეს, მაგრამ უმთავრესი წესები, პლანი საქმისა უნდა წინადვე იყოს მოსაზრული და ვინც ამისთანა უმთავრესს, როგორც შემოსავალ-გასავალია, მემრისის სინაზარას დაარჩენს, იმას გიჟსაც დაუძახებენ. ჩემმა გამოთქმულმა საგარეჯოში მცირე პროტესტმა საქმის მომხრეთ აწყენინა და მოწინააღმდეგენი გაახარა, მაგრამ საქმეს თუ არა გაუთეთრა, არა დაუშავა-რა. გლეხკაცს ამისთანა შემთხვევაში პირველად პრაქტიკული კითხვები ებადება და საქმის საკეთილდღეოდ სასურველი იყო, რომ ამ გვარად დაყენებულს კითხვებს ხალხში მითქმა-მოთქმით ცრუ მიმართულება არ მიეღო და ყრილობაზედვე მის მომხრეთაგან ახსნილიყო. გლეხი კაცი საზოგადოდ ჩვენი თუ სხვა კონსერვატორია, წინ იმისათვის უვალია და ბნელია, უკან-კი ნავალია, ცაცნობია, ცხადია, ამისათვის ის წინ-წასვლაში ცხვარივით გაჯიუტდება ხოლმე მინამ წინ ერთი და ორი არ გაუძღვება და გზას არ უჩვენებს.

ერთი მითხარით, ძველო მეგობარო, თქვენი ძველი ნაცნობი „ყურმოჭრილი ყმა ლასალისა და პოლიტიკო-ეკონომიურის წეგნების მღეჭველი“ რით ეწინააღმდეგება თავის დედა აზრებს? ნუ თუ აზრის სიყვარული იმაში მდგომარეობს, რომ გაქვავდეს ერთს აზრზედ და აღარ დაიძრას არა შემთხვევაში? ან რისთვის მიკითხავთ იმისთანა ანბანს, როგორც გარჩევა მომხმარებელისა და მწარმოებელის ამხანაგობისა? მითომ მომხმარებელის ამხანაგობის თანხის შექმა შეიძლება და მწარმოებლისა-კი არა? თუ მაგაზედ შორს არ ვიფიქრეთ, მტერი დაგრჩეს ხელ-ცალიერი, რომ ჩვენ ცალიერები დავრჩებით. მაზრის უფროსმა წინადადება მისცა საგარეჯოს გააშენოს ოცი დესეტინა ვენახი. ამოდენა ადგილი რომ ხალხის მარჯვენის დაუზოგველად გავაშენოთ თუნდ მე და თქვენ, წელიწადში 80—100 საპალნე ღვინოს მივიღებთ, რომელიც ეღირება 800—1000 თუმანი ფული. განა ამ ფულით ვერ ვიქეიფებთ, განა ამის დამკარგველს გული არ დასწყდება? მომხმარებელ საზოგადოებისა თვითონ თანხაც შეიქმება და მწარმოებლისა-კი არაო, კეთილი, მაგრამ ძროხა რომ დაუზოგველად სწველოს იმას-კი ზედ აღარა მოახმარო, განა თან არ გადაჰყვება?

გაბრიელ გულისაშვილი.

## დეპეშა

2 ივნისი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია სახელმწიფო საბჭოს განკარგულება შესახებ იმისა, რომ შუაგულ აზიისა და კასპის იმიერ მხრით სპარსეთში გაგზავნილ შაქრის აქციზი აღარ დაუბრუნდება მექარხნეებს.

გამოცხადდა სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის 5% გირავნობის მოუგებელ ფურცლის პირობანი. გირავნობის ფურცელნი იქნებიან 100, 300, 500, 1000, 5000 და 10,000 მანეთიანნი. ექნებათ წელიწადში 5%, რომელიც მიიცემა 1-ს მაისიდამ და 1-ს ნოემბრიდამ. ტირაჟები წელიწადში ორჯერ იქნება: 15 მარტსა და 15 სექტემბერს, 1892 წლის 15 სექტემბრამდის გამოსახსნელად მოგებიანისა და მოუგებელისა გირავნობის ფურცლებისა ეხლანდელის და წინანდელის გამოცემულისა მიქცეულ იქნება იგი ფული რომელიც თავნის მოსაშორებლად სესხის გამტანმა უნდა შემოიტანოს და აგრეთვე ის ფული, რომელიც თავნშია წარმოდგენილი ვადაზე უწინარეს, ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცელში მიეცემათ მანეთი მანეთზე. გირავნობის ფურცელთ ექნებათ ძალა 30 წლის განმავლობაში, კუ-

პონებს 10 წლის განმავლობაში იმ დღიდამ, რომელიც აღნიშნულია გასანაღდებლად.

**არენსბურგი.** დიდის მთავარის ვლადიმერ ალექსანდრეს ძის მისაგებებლად აქ მოვიდნენ ლიფლიანდიის გუბერნატორი და კომანდირი ბალტიის ფლოტილიისა. მცხოვრებნი არენსბურგისა ემზადებიან მათ უმაღლესობათა დასახვედრად. სახლები მორთულია დროშებითა და ხვეულის ყვავილებით. მათი უმაღლესობანი მიბრძანდებიან მართლმადიდებელთა ეკკლესიაში და შემდეგ ჯარის დათვალიერებისა ადგილობრივი თავად-აზნაურობა გაჰმართავს საუზმეს. 2 საათზე კვლავ გაემგზავრებიან სალლში კრატერთან.

**ადენი.** რუსი მკვლევარი აბაშეთისა, პორუჩიკი მაშკოვი, მივიდა თავის თანამგზავრებით საფრანგეთის სადგურს ჯიბუტტში. მაშკოვს მიაქვს წერილები მენელიკისა ევროპის მეფეებთან.

**თეირანი.** ხუთშაბათს მეშხედში გარდაიცვალა ხოლერისაგან 400 კაცი.

**ვილდპარკი.** აქ მობრძანდა შვეციის მეფე და იმპერატორი მიეგება.

3 ივნისი

**უგლიჩი.** ქალაქი ემზადება უფლისწულის დიმიტრის სასახლის კურთხევის დღესასწაულისთვის, რომელიც ხვალისთვის არის დანიშნული.

**რიბინსკი.** დღეს გაიარეს ვოლგით უგლიჩისკენ დიდმა მთავარმა სერგი ალექსანდრეს ძემ დიდის მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასულითურთ. უგლიჩში მრავალი ხალხი მიეგება ნავთ-სადგურთან. ქალაქმა მიართვა პურ-მარილი.

**არენსბურგი.** დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე მეუღლითა და ამალითურთ სწორედ დილის 9 საათზედ მობრძანდა გემით „აზია“-თი. დიდის ამბით მიგებნენ წარჩინებულნი. მათი უმაღლესობანი წაბრძანდნენ მართლ-მადიდებელთა და ლოტრანგთა ეკკლესიაში და შემდეგ ელჩის ოსკარშმიდტის სახლში. ნაშუადღევს 2 საათზედ მათი უმაღლესობანი წაბრძანდნენ სალს კრატერთან.

პეტერბურგის ბირჟა, 2 ივნისი

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,64 | 7,67 | — ,, |
| ცზამოკნის კუპონები . | 153 1/2 | 152 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,10 | — ,, | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 241 1/2 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 221 1/2 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | 193 1/2 | — ,, | 194 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀ . . . . . . | — ,, | — ,, | 102 1/2 |
| 5°/₀ . . . . . . | — ,, | — ,, | 99 1/2 |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀ . | — ,, | 102 1/2 | — ,, |
| 5°/₀ . . . . . . | — ,, | 99 1/2 | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 98 1/2 |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . , . „ . 6 ს. 50 წ. სად.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. სად.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. სად.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. სად.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, სადამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

**ბათუმში მოდის:**

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სადამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დ ი ლ ი თ, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ დილით, სტამბოლიდგან.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, სადამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გან ადისაითს.

**ფოთიდგან გადის:**

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის,

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

**ნ ი ხ რ ი**

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — . 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

# განცხადებანი

ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკის გამგეობა აცხადებს, რომ 29 მაისს ბანკის სადგურის დერეფანში უპოვნიათ ერთი კუპონი 30 მანეთის ღირსებისა. გამგეობა სთხოვს კუპონის პატრონს, მივიდეს ბანკში ამ კუპონის წასაღებად და თანაც ის გირავნობის ფურცელი წარადგინოს, რომლიდგანაც ეს კუპონი არის მოჭრილი.

### ქ. ოზურგეთში

გამოვიდა და ისყიდება კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული შემდეგი ახალი წიგნები: მ. კ.

1) „ამპარტავანი გიორგი“ გარშინისა . . „ 5
2) „ჩხუბი ერთი კვერცხისათვის“ ტოლსტოისა . „ 5
3) „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“ ოცხანელისა . „ 5
4) „ქართულ ანდაზების ლოტო“ ნ. ო—შვილისა. „ 80
5) „რამდენიმე მოთხრობა“ (გურიის ცხოვ.) ე. ნინოშვილისა . . „ 50
6) „სიმონა“ მოთხრობა (გურიის ცხოვ.) მისივე . „ 30
7) „ვეფხის-ტყაოსანი“ მეორედ გამოცემა ოზურგეთში სურათით . . „ 40

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოზურგეთში გამომცემელს, ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, გორში, სამტრედიაში, ხონში და სოხუმში ყველა წიგნის მაღაზიებს. ყვირილაში ი. კაკაბაძეს, ბათუმში ბ. კალანდაძეს, ქუთაისსა და რიონს შუა ხეთერელს, განჯაში ს. დოლიძეს და ახალსენაკში ბ. მიქაძეს და აგრეთვე გურიის ყველა მასწავლე- (7—74—3)

# შეშა

**დიდს საწყობში**

რკინის გზის ვაგზალთან, ყოლღანოვის ცხენის რკინის გზის ლიანდაგს ახლო.

ისყიდება შეშა წვრილ-წვრილად, 1/2 კუბიკურ საჟენიდგან დაწყებული, ხმელი სამზარეულო და პურის საცხობი შეშა უფრო იაფ ფასად, ვიდრე ურმობით იყიდება. აქვე ყიდულობენ ნარდად შეშას ტყის პატრონთაგან. 10—3

**გამოვიდა და ისყიდება**

„წერა-კითხვის საზოგადოებისა“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში:

## „ახალი ანბანი“

ვლ. აღნიაშვილისა.

1) „ან“, წერა-კითხვა. . . . 10 კ.
2) „ბან“, წვრილ-წვრილი ლექსები . . . . . . . , . . . 10 კ.
3) „გან“, პატარ-პატარა ამბები. . . . . . . . . . . 10 კ.
4) „დონ“, პატარ-პატარა ამბებივე. . . . . . . . . 10 კ.
5) „ენ“, გასართობი. . . . . 10 კ.

**„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები მან. კაპ.

ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . . „ 40
ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . „ 20
თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთ I, II და III ტომი თითო ტომი. . 1 40
იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . . 2 50
სამივე ტომი. . . . . 7 „
სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . . 1 80
თხზლებანი ი. დავითაშვილისა . . . . . „ 20
მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . „ 20
წყალობა პოემა მისივე . „ 20
სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . „ 25
თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . „ 10
დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . „ 15
ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . „ 50
სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . „ 30
აქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . „ 50
ონიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . 1 „
კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . . „ 20
პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . „ 50
საყმაწვილო ამბები მისივე „ 40
ძმურ სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. „ 25
თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . . „ 50
საქართველოს დასურათებული კალენდარი 1892 წლის შედ. და გამოცემული ვ. გუნიას მიერ ფასი „ 45
რამდენიმე მოთხრობა რაფფისა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. . . . . . . „ 25
სამი ცელქი, საყმაწვილო სურათებიანი წიგნი შ. მღვიმელისა . . . „ 20
საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . . . . 1 „
ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი. . . . . 1 50
ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . „ 40
ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . „ 55
ლექსები გრ. ორბელიანისა „ 50
ლექსები ვახტანგ ორბელიანისა . . . . . „ 20
სურათი შ. რუსთაველისა „ 60
წმ. ნინოს ხატი . . . „ 50
გეომეტრია მ. ზ. ყიფიანისა, ნაწილი
„ II სტერეომეტრია
„ უმდაბლესი გეოდეზია
„ IV ზოგიერთი კანონები ტრიგონომეტრიის
და „ V—ლოგარითმოსის ტაბლიცებისი . . . „ 50




ტფილ. გამოფენა.


ვერცხლისა


ოქროსი

ЗАВОДЪ
МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
А. А. ТУТАЕВА.
*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее- ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

## ალ. ა. თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით ვაზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფაეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—16)


Дозв. ценз. Тифлисъ, 3-го Іюня 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე